

შპს თ & დ

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	3
ბალანსი	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	11
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
7. ძირითადი საშუალებები.....	12
8. საგადასახადო ვალდებულებები.....	12

შპს „თ & დ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება	2018
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	127,039
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	70,115
საერთო მოგება	56,924
დასაქმებულთა ანაზღაურება	31,253
ცვეთა და ამორტიზაცია	1,673
საპროცენტო შემოსავალი:	-
საპროცენტო ხარჯი :	-
იჯარის ხარჯი	67,489
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	46,427
სულ საოპერაციო ხარჯები	146,842
საოპერაციო მოგება	(89,918)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(5,376)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	634
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(95,929)

მაია ხუციშვილი
დირექტორი

შპს „თ & დ“წლისთვის
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

ბალანსი

ბალანსი	2018
აქტივები	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	134,601
სავაჭრო მოთხოვნები	17,996
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	249,296
მარაგები	498,675
სხვა მიმდინარე აქტივები	90,204
არამატერიალური აქტივები	
ძირითადი საშუალებები	202,290
სულ აქტივები	1,193,062
ვალდებულებები	-
სავაჭრო ვალდებულებები	87,828
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5,001
სულ ვალდებულებები	92,829
საკუთარი კაპიტალი	-
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1,196,163
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(95,929)
სულ საკუთარი კაპიტალი	1,100,233
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,193,062

მაია ხუციშვილი
 დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1056186)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,196,163
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	139977
სავალუტო კურსის ეფექტი	(5,376)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	134,601

მაია ხუციშვილი
 დირექტორი

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს თ & დ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2018 წლის 18 მაისს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 402087763.

ძირითადი საქმიანობა. შპს “თ & დ”-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ყოველდღიური მოხმარების იმპორტირებული საქონლის, კერძოდ: მოხმარების აქსესუარების, საყოფაცხოვრებო, საკანცელარიო, პარფიუმერიის, სანიტარული ჰიგიენური საშუალებების მიწოდება მომხმარებლებისათვის.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N158 .

კომპანიის მეწილეები:

კომპანია დაფუძნებულია ერთი ფიზიკური პირის მიერ:

61002000453, თეო ჭუმბურიძე 100%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის 100%-იან წილს ფლობენ ფიზიკური პირები შემდეგი წილობრივი განაკვეთით:

37001002810, ლარისა გეგეჭკორი 50%

01024001735, თამარ ჭუმბურიძე 50%

ინვესტიციები: კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო და კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა არ ევალება.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში,თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 18 მაისიდან 31 დეკემბრამდე 7 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „თ & დ“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროსდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწი.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გთვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს FIFO მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება

ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღებიკომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების და ზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივია ღიარდებაგრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისიდაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისგანმავლობაში
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისშემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთმოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებით იცვლილებები რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს საქონლის რეალიზაცია.

დასახელება	თანხა (ლარი)
შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	127038.7
დადებითი საკურსო სხვაობები	4169.58
სულ	131208.28

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

დასახელება	თანხა (ლარი)
მიწოდების ხარჯები	570.45
რეკლამის ხარჯები	6035.61
მარკეტინგული მომსახურება	4449.25
შრომის ანაზღაურება (მაღაზია)	15681.51
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	317.11
მიწოდების სხვა ხარჯები	3693.33
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	15571.91
საიჯარო ქირა	67488.58
საკანცელარიო ხარჯი	567.26
სამეურნეო ხარჯები	1114.82
კომუნიკაციის ხარჯები	1393.54
დაცვის მომსახურება	47.84
საკონსულტაციო ხარჯები	957.11
ცვეთა და ამორტიზაცია	1673.12
საბანკო მომსახურების ხარჯი	4267.29
კომუნალური	1493.66
კომპიუტერული ხარჯები	7212.03
მომსახურების ხარჯები	11878.96
ოფისის შენახვის ხარჯები	3697.84
სულ	148111.22

7. ძირითადი საშუალებები

დასახელება	თანხა (ლარი)
კომპიუტერული ტექნიკა	79623.85
დაცვის სისტემები	20580.74
ელექტრონული მოწყობილობა	3463.08
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8456.7
მალზიის ავეჯი	46482.72
სხვა ძირითადი საშ-ბები	12032.16
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	31650.83
სულ	202290.08

8. საგადასახადო ვალდებულებები

დღეის მდგომარეობით კომპანიას საგადასახადო ვალდებულებები არ გააჩნია. კომპანია მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებს დროულად ფარავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი, რის გამოც, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

შპს „თ & დ“ წლისთვის
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

შპს თ & დ
 ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით (ლარებში)

ბალანსი

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	134601
სავაჭრო მოთხოვნები	17996
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	249296
მარაგები	498675
- მზა პროდუქცია	498004
- სხვა	671
სხვა მიმდინარე აქტივები	90204
ძირითადი საშუალებები	202290
სულ აქტივები	1193062
ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	87828
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5001
სულ ვალდებულებები	92829
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1196163
საემისიო შემოსავალი	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-95929
გადაფასების რეზერვი	
სხვა რეზერვები	
სულ საკუთარი კაპიტალი	1100233
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1193062

დირექტორი
 მაია ხუციშვილი

შპს „თ & დ“ წლისთვის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

**შპს თ & დ სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (ლარებში)**

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	127039
საქონლის გაყიდვიდან	127039
მომსახურების გაწევიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	70115
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	-568790
საბოლოო მარაგები	498675
საერთო მოგება	56924
დასაქმებულთა ანაზღაურება	-31253
ცვთა და ამორტიზაცია	-1673
იჯარის ხარჯი	-67489
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-46427
სულ საოპერაციო ხარჯები	-146842
საოპერაციო მოგება	-89918
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-5376
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-634
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-95929
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-95929
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	0
კაპიტალის გაზრდა	1196163
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1196163
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1196163

დირექტორი

მაია ხუციშვილი

შპს თ & დ
 ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარებში)

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1056186
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1196163
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	139977
სავალუტო კურსის ეფექტი	-5376
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	134601

დირექტორი
 მაია ხუციშვილი

შპს „თ & დ“ წლისთვის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

შპს თ & დ

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ბალანსი

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	134600.91
სავაჭრო მოთხოვნები	17995.94
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	249296.05
მარაგები	498674.89
- მზა პროდუქცია	498003.7
- სხვა	671.19
სხვა მიმდინარე აქტივები	90204.22
ძირითადი საშუალებები	202290.08
სულ აქტივები	1193062.09
ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	87827.68
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5001.22
სულ ვალდებულებები	92828.9
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1196162.54
საემისიო შემოსავალი	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-95929.34
გადაფასების რეზერვი	
სხვა რეზერვები	
სულ საკუთარი კაპიტალი	1100233.2
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1193062.1

დირექტორი
მაია ხუციშვილი




შპს „თ & დ“ წლისთვის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

შპს თ & დ
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (ლარებში)

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	127039
საქონლის გაყიდვიდან	127039
მომსახურების გაწევიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	70115
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	-568790
საბოლოო მარაგები	498675
საერთო მოგება	56924
დასაქმებულთა ანაზღაურება	-31253
ცვეთა და ამორტიზაცია	-1673
იჯარის ხარჯი	-67489
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-46427
სულ საოპერაციო ხარჯები	-146842
საოპერაციო მოგება	-89918
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-5376
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-634
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობ	-95929
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-95929
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	0
კაპიტალის გაზრდა	1196163
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1196163
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1196163

დირექტორი
მაია ხუციშვილი

Handwritten signature



შპს „თ & დ“ წლისთვის
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

შპს თ & დ
 ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით (ლარებში)

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1056186
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1196163
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	139977
სავალუტო კურსის ეფექტი	-5376
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	134601

დირექტორი
 მაია ხუციშვილი

